გამკლავების სტრატეგიები და ფსიქიკური ჯანმრთელობა უკრაინელ შინაგანად გადაადგილებულ პირებში - მონაცემთა მეორადი ანალიზი

გვანცა ვარდიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარ და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ვარდიშვილი

28.06.2022

აბსტრაქტი

შესავალი: შინაგანად გადაადგილებულ პირთა მზარდი რაოდენობა მსოფლიოში და მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან ასოცირებული ფაქტორების კვლევის საჭიროებას.

კვლევის მიზანი: წინამდებარე კვლევის მიზანია შეიწავლოს კავშირი უკრაინაში შინაგანად გადაადგილებულ პირთა გამკლავების მექანიზმებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს შორის..

მეთოდოლოგია: ნაშრომი წარმოადგენს მეორად მონაცმეთა ანალიზს და ეფუძნება „უკრაინელ შინაგანად გადაადგილებულ პირებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობათა გავრცელებისა და თავისებურებათა კვლევის“ შედეგებს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2,198-მა რესპოდენტმა (Shevlin, et al., 2017) მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა შემდეგნაირად, გამკლავების სტრატეგიათა ასაკთაშორისი განსხვავებები გამოითვალა სპირმენის კორელაციით , სქესთაშორისი და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და არ მქონე პირებს შორის განსხვავებები გამოითვალა ჯგუფთაშორისი T კრიტერიუმით, ხოლო მრავლობითი რეგრესიით გამოითვალა გამკლავების სტრატეგიათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან.

კვლევის შედეგები: მეორად მონაცემთა ანალიზმა აჩვენა გამკლავების სტრატეგიათა გამოყენების სქესთაშორისი სხვაობები. კერძოდ, ქალებში გამკლავების სტრატეგიების უფრო ფართო რეპერტუარი, ვიდრე მამაკაცებში. ასაკის ზრდასთან ერთად ორივე სქესში გამოიკვეთა ემოციებზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენების ზრდა და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენების კლება. კვლევამ გამოავლინა, რომ ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა ქცევითი გამკლავების შეწყვეტა (behavioral disengagement), ემოციურ ვენტილაციაზე ფოკუსირება, მიღება და თვითდადანაშაულება, იწვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს. ხოლო,

აქტიური დაძლევა და იუმორი გვევლინება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისგან დამცავ ფაქტორებად.

დასკვნა: კვლევამ გამოკვეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაპროვოცირებელი და დამცავი გამკლავების სტრატეგიები შინაგანად გადაადგილებულ პირბეში.

Abstract

Introduction: The growing number of internally displaced persons worldwide, including the high prevalence of mental health problems, indicates the need to study the factors associated with mental health problems.

Aim of the study: The aim of the present study is to study the relationship between the coping mechanisms with internally displaced persons in Ukraine and mental health problems.

Method: The paper is a secondary data analysis and is based on the results of the "Study on the Prevalence and Peculiarities of Mental Health among Ukrainian Internally Displaced Persons", in which 2,198 respondents participated. Data were statistically processed as follows: age differences in coping strategies were calculated by Spearman correlation, differences between individuals with and without mental health problems were calculated by independent T criteria, and the cause-and-effect relationship of coping strategies with mental health problems was calculated by multiple regressions.

Results: Secondary data analysis showed gender differences in the use of coping strategies. In particular, a wider repertoire of coping strategies in women than in men. With increasing age, both sexes showed an increase in the use of emotion-focused strategies and a decrease in the use of problem-solving strategies. Research has shown that using strategies such as behavioral disengagement, focusing on emotional ventilation, acceptance, and self-blame leads to mental health problems. And, active coping and humor appear to be protective factors against mental health problems.

Conclusion: The study identified strategies for coping with provocative and protective mental health problems in an internally displaced person.

მადლობა

პირველ რიგში, მინდა მადლიერება გამოვხატო კვლევის თითოეული ავტორის მიმართ, რომელთაც მომცეს მათმიერ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩემთვის საინტერესო კვლევის ჩატარების საშუალება.

დიდი მადლობა, ქალბატონ ჯანას, არამარტო როგროც კვლევის ერთ-ერთ ავტორს, არამედ როგორც ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, მნიშვნელოვანი უკუკავშირის, ყურადღებისა და გამხენევისათვის.

დიდი მადლობა კვლევის კიდევ ერთ ავტორს, ქალბატონ ნინო მახაშვილს, სამაგისტრო თემის არჩევაში დახმარებისთვის. აგრეთვე იმისათვის, რომ გამიზიარა კვლევის ბაზა და ყველა საჭირო ინფორმაცია.

მადლობა აგრეთვე მინდა გადავუხადო, ბატონ ვანო კეჭაყმაძეს, ნიკა ბაქრაძესა და მარიამ ქალებაშვილს მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებაში დახმარებისათვის.